ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №41 (10182), 6 ოქტომბერი, 2016 წ. ფასი 50 თეთრი.

ვინ გახდება საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი №59,60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქიდან

ზაზა მამულაიშვილი

ავთანდილ ჩხაიძე

დავით მჭავანაძე

ნინო გოგუაძე

შოთა გოგიბერიძე

დავით მამალაძე

თემურ სალუქვაძე

არჩილ თალაკვაძე

გოჩა ძიმისტარიშვილი

№59, 60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქიდან საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობის მანდატისთვის 9 კანდიდატი ეცილება ერთმანეთს. არჩევნებამდე ორი დღით ადრე კიდევ ერთხელ წარმოგიდგენთ მათ ვინაობას:

ზაზა მამულაიშვილი, მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის, №1

ავთანდილ ჩხაიძე, ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა, №3

დავით მჭავანაძე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, №5

ნინო გოგუაძე, რესპუბლიკური პარტია, №6

შოთა გოგიბერიძე, დავით თარხან მოურავი, ირმა ინაშვილი საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, №8

დავით მამალაძე, საქართველოს ლეიბორისტული პარტია, №10

თემურ სალუქვაძე, „თავისუფალი დემოკრატები“, №27

არჩილ თალაკვაძე, „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, №41

გოჩა ძიმისტარიშვილი – დამოუკიდებელი კანდიდატი,

საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებისათვის კანდიდატმა უნდა დააგროვოს საარჩევნო ოლქიდან არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო ხმების მინიმუმ 50 პროცენტს პლუს ერთი ხმა (ბათილი ბიულეტენი სათვალავში არ შედის). წინააღმდეგ შეთხვევაში დაინიშნება დამატებითი ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პირველ-მეორე ადგილზე გასული კანდიდატები.

წარმატებულ არჩევანს გისურვებთ!

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა 17 ოქტომბერს.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 20 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი
რეგისტრირებულია
ოზურგეთის რაიონულ
სასამართლოში 18. 11. 2004
№44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაიწყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

უფასო პოლიტიკური რეკლამა

ხელისუფლების საყურადღებოდ ჩატარებული მანიფესტაცია – „პატრიოტები" ბათუმში

მარი კოძოევი

1 ოქტომბერს, ბათუმში, ევროპის მოედანზე „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი, პატრიოტთა ალიანსი -გაერთიანებული ოპოზიციამ" ფართომასშტაბიანი აქცია-მსვლელობა გამართა. აქციის ორგანიზატორების განცხადებით, შეკრების მიზანი „პატრიოთა ალიანსის" მხარდამჭერების სიმრავლის ჩვენება და იმის დადასტურება იყო, რომ გაერთიანება რიგით მეორე პოლიტიკური ძალაა ქვეყანაში. აქციაზე შეკრებილებს მიმართეს პარტიის ლიდერებმა დავით თარხან-მოურავმა და ირმა ინაშვილმა. შეკრებილებს ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია და აქტივი შეუერთდა. ამის შესახებ „ალიონს" ამავე ორგანიზაციის დეპუტატობის კანდიდატი **შოთა გოგიბერიძე** ესაუბრა.

–„ქალაქ ბათუმში გაიმართა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის" ხალხმრავალი აქცია, რომლის მიზანიც გახლდათ ხელისუფლებისთვის ამ პოლიტიკურ ძალას დაენახვებინა თავისი რესურსი, ძალა და მხარდამჭერთა რაოდენობა. ბოლო კვირეების განმავლობაში საქართველოს ტელევიზიის ისეთ არხებზე, როგორიც გახლავთ „რუსთავი 2" და „იმედი" გავიდა ძალიან საეჭვო კატეგორიის კვლევები, რომელთა მონაცემები იმდენად აცდენილია რეალობას, რომ ჩვენი პოლიტიკური ძალა იძულებული გახდა, აქცია ჩაეტარებია. ეს იყო ხელისუფლების საყურადღებოდ ჩატარებული მანიფესტაცია, რათა გამოირიცხოს ფიქრიც კი იმაზე, რომ შესაძლებელია არჩევნები გაყალბდეს. თანამედროვე საშუალებების გამოყენებით დათვლის შემდეგ ამ აქციას 28 ათასი ადამიანი დაესწრო, ძირითადად აჭარის რაიონების წარმომადგენლები იყვნენ. ჩვენ აქტივით გახლდით წარმოდგენილი. თავადაც აღფრთოვანებულები ვიყავით დიდი მხარდაჭერით, რაც აჭარაში დავინახეთ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მიმართ. აქცია იმის მაჩვენებელი იყო, რომ ჩვენ ვართ საკმაოდ მძლავრი ორგანიზაცია. დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევების შეგედად, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი", დღეის მონაცემებით, პოლიტიკურ სივრცეში არსებულ მეორე ძალადაა აღიარებული. ის, რომ არჩევნების შედეგებმა სხვა მონაცემები აჩვენოს, გამოიწვევს საზოგადოების გაღიზიანებას. სამოქალაქო დაპირისპირების პრეცედენტიც კი შეიძლება შეიქმნას. სწორედ ამან განაპირობა ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციის ბოლო მოწოდება, რომ 8 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ სრული მობილიზაციით ყველა მხარდამჭერი ამ პოლიტიკური ძალისა თავს მოიყრის დედაქალაქში. ჩვენ ვგრძნობთ მოსახლეობის დიდ მხარდაჭერას. ჩვენს ოზურგეთის ორგანიზაციაზე რომ ვისაუბროთ, ფაქტიურად ეს უკვე სახალხო მოძრაობის დონეზე აყვანილი პოლიტიკური ძალაა. ჩვენ ამ არჩევნებში მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ, ისევე, როგორც აჭარა და სხვა რეგიონები, - განაცხადა შოთა გოგიბერიძემ.

მხარდაჭერა პოლიტიკოს ქალბატონებს

ოზურგეთში, კინოთეატრ „ოზურგეთის" წინ ქალთა მხარდასაჭერი აქცია გაიმართა. მშვიდობიანი აქციის მიზანი პოლიტიკოსი, არჩევნებში მონაწილე ქალბატონებისთვის სოლიდარობის გამოცხადება იყო. „თანაბარი უფლებები თანაბარი შესაძლებლობები", „ცვლილებები არჩევნებით იწყება, მეტი ქალი პოლიტიკაში", „მეტი მხარდაჭერა ქალ კანდიდატებს", „არჩევნებში ქალთა მონაწილეობა, მშვიდობა დემოკრატია ცვლილება", „გენდერული თანასწორობა ქვეყნის სიძლიერე" ასეთი იყო სლოგანები. აქცია ფონდი „სოხუმის", „ოზურგეთის ამომრჩეველ ქალთა კლუბის ორგანიზებით" გაიმართა რომელსაც კლუბის წევრები და მოდერატორი ნანა კეკელიძე ესწრებოდნენ. კლუბები პარალელურად საქართველოს 8 ქალაქში შეიკრიბნენ.

ბახვში პოლიციის განყოფილება გაიხსნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვში შსს-ს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს პოლიციის განყოფილება გაიხსნა, რომელიც მოემსახურება ოზურგეთის შემდეგ სოფლებს - ბახვი, ცხემლისხიდი, ასკანა, მთისპირი, მშვიდობაური, ძიმითი, ნაგომარი, ვაკიჯვარი, ფამფალეთი.

აღნიშნული შენობა მუნიციპალიტეტის გამგეობამ, შინაგან საქმეთა სამინისტროს უზურფუქტით გადასცა.

პოლიციის განყოფილების გახსნას გურიის გუბერნატორი გია სალუქვაძე, გუბერნატორის მოადგილე სოსო ერქომაიშვილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე და გურიის პოლიციის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ნორჩების ხატოვანი ზეიმი

ნუკრი ნიკოლაიშვილი

ბუნების მშვენიერებით შემკულ ისტორიულ სოფელ ბახვში, ადგილობრივი მოსახლეობისა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელთა ზრუნვა-მოწადინებით, დასრულდა საბავშვო ბაღის მშენებლობა, რომელიც სოფლის ყოფილი ამბულატორიის განახლებულ შენობაში განთავსდა.

საბავშვო ბაღში ამჯერად 65 კეთილსახოვანი აღსაზრდელია. მათ აღზრდასა და ცნობიერების ფორმირებაზე 15 მაღალკვალიფიციური თანამშრომელი ზრუნავს.

ამ დღეებში განახლებული ბაღის შენობა ახალი, სპეციფიკური ინვენტარით აღიჭურვა, კეთილმოეწყო ტერიტორია.

ახალი ბაღის გახსნის ცერემონიალს ესწრებოდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ ჭანუყვაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარრია, საკრებულოს შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელი მაიზერ ცელაძე, სკოლამდელ დაწესებულებათა სააღმზრდელო ცენტრის ხელმძღვანელი ავთანდილ მექვაბიშვილი, ოზურგეთის სკოლამდელი სააღმზრდელო საგანმანათლებლო ცენტრის ხელმძღვანელი ნაილი გრძელიძე, სხვა პასუხისმგებელი მუშაკები. მათი ინფორმაციით, ოზურგეთის მუნიციპალეტეტში 35-ე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება გაიხსნა ან გარემონტდა.

ახალ ბაღში გვიანობამდის გასტანა ნორჩების ხატოვანმა ზეიმმა, ხალასმა შემოქმედებამ.

„წლების დაგროვილი პრობლემები წარსულს ჩაბარდა“.

ნანული ხურციძე სოფელ თხინვალში გაუსაძლის პირობებში ცხოვრობდა. ამორტიზებულ სახლში, სადაც ყველა მხრიდან ქარი უბერავდა ერთადერთი შვილი გაზარდა. ამბობს, რომ ზამთარი აქ აუტანელი იყო. გარეთ უფრო თბილოდა, ვიდრე შიგნით. ახლა ნინიკო დიდი გოგოა. წელს სტუდენტი გახდა და უფასო ფაკულტეტზე მოეწყო.

„ჩემი წლების დაგროვილი პრობლემები წარსულს ჩაბარდა. ტანჯვა, რომელსაც მე და ჩემი ოჯახი მთელი ცხოვრება განვიცდიდით საბილოოდ დასრულდა. მანამდე ვის არ მივმართე, რომ ჩემი გასაჭირი გულთან მიეტანა, თუმცა ამაოდ. წელს უფალმა ყველაფრით დაგვასაჩუქრა. ადგილობრივი ხელისუფლების წყალობით ახალი ბინა და სამსახური მაქვს, არაჩვეულებრივ პირობებში ვცხოვრობთ. ჩემმა შვილმაც საჩუქარი გამიკეთა და სტუდენტი გახდა. ცხოვრება თავიდან დავიწყეთ. ბედნიერი ვარ," - ამბობს ნანული ხურციძე.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა



ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

იყენებენ თუ არა საპარლამენტო არჩევნებისთვის ადმინისტრაციულ რესურსს ოზურგეთში

ELECTION MEDIA CENTER
საარჩევნო მედია ცენტრი
WWW.CCE.GE
ELECTION MEDIA CENTER
ELECTION MEDIA CENTER
ELECTION MEDIA CENTER

იური სიხარულიძე -90

წელს, მაისში, ღვაწლმოსილ მეცნიერს, ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს, პროფესორ იური სიხარულიძეს დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა.

გთავაზობთ ბატონ ანზორ ერქომაიშვილის მიერ მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურული სალონის საიუბილეო საღამოზე გაგზავნილი სატელეფონო ხმოვანი გზავნილის ტექსტს, რომელიც ამ საღამოს გაჟღერდა. აქვე ვბეჭდავთ ბატონ იური სიხარულიძის მოგონებას სამოელ და ილარიონ ჩავლეიშვილზე.

ბატონო იური

გილოცავთ 90 წლის იუბილეს. მე ბედნიერად ვთვლი თავს, რომ თქვენი მოღვაწეობის პერიოდში მომიხდა მუშაობა. პროფესიით ისტორიკოსმა, განვლეთ ურთულესი გზა კომინისტურ ეპოქაში, მაგრამ ერთი წუთითაც არ დაგიკარგავთ საქართველოს ისტორიის ობიექტურად შეფასების უნარი; თქვენი პატრიოტული თავდადება მისაბაძია თაობებისთვის. თქვენ მთელი ცხოვრების მანძილზე გულწრფელი სიყვარულით ემსახურებით საქართველოს, თაობები აღზარდეთ სამშობლოსადმი სიყვარულის გრძნობით, სიმართლისა და მაღალი პროფესიონალიზმით. დღეს ისინი ღირსეულად განაგრძნობენ თქვენს მიერ დაწყებულ საქმეს და, როგორც ვიცი, ბევრი მათგანი დღესაც თანამშრომლობს თქვენთან.

ბატონო იური, თქვენ მრავალმხრივი მოღვაწე ბრძანდებით. საქართველოში არ ყოფილა არც ერთი მტკივნეული საკითხი, რომელსაც თქვენი კალამი არ შეეხო, რომელიც თქვენი კვლევის საგნად არ იქცა. თქვენ უშიშრად იდექით ქვეყნის სადარაჯოზე და საქართველოს მტრებს ღირსეულ პასუხს აძლევდით. ქართველი ხალხი არასდროს დაივიწყებს თქვენს მამულიშვილურ თავდადებას.

პირადად მე თქვენი უდიდესი პატივისმცემელი გახლავართ. არასოდეს დამავიწყდება თქვენი საუბრები ქართულ ტრადიციებზე, ფოლკლორზე, მოგონებები ქართველ მომღერლებზე. თქვენ მოწმე ბრძანდებით ძველი თაობის საოცარი საშემსრულებლო ხელოვნების, პირადად იცნობდით დიდებულ გურულ მომღერლებს: სამოელ ჩავლეიშვილს, ვარლამ სიმონიშვილს, ერმალო სიხარულიძეს, ლადიმე ბერძენიშვილს, ვასილ მახარაძეს და სხვა ლეგენდარულ ადამიანებს, პირადად გიმღერიათ მათთან, სიმღერები გისწავლიათ მათგან და მერე სხვას ასწავლიდით სხვადასხვა დიდებულ ვარიანტებს. თქვენი მონათხრობი ჩემთვის იშვიათი გაკვეთილი იყო: თქვენ ისეთი ამბები მოიგონეთ ძველი მომღერლების შესახებ, რომელიც მანამდე არასოდეს გამიგონია, ეს ნაამბობი დაამშვენებს მათ ლამაზ ბიოგრაფიებს, ამისთვის დიდი მადლობა!

ბატონო იური, თქვენ სამაგალითო პიროვნება ბრძანდებით, დიდად განათლებული მეცნიერი, პატრიოტი, ღირსეული კაცი, რომელმაც მთელი თქვენი შეგნებული ცხოვრება თქვენ ქვეყანას შესწირეთ. თქვენი სიმღერები, თქვენი ვარიანტები, ოსტატურად შესრულებული „კრიმანჭული“ ჩემთვის სამაგალითოა და სანამ ცოცხალი ვიქნები, ყოველთვის თან გამყვება.

მიიღეთ ჩემი გულწრფელი სიყვარული, მადლიერების უსაზღვრო გრძნობა და საუკეთესო სურვილები.

დიდხანს იცოცხლეთ ბატონო იური, მრავალჟამიერ.

ჩემი დიდი მადლობა თქვენი საიუბილეო საღამოს ორგანიზატორებს —თბილისის მთავარი და საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკებს.

ანზორ ერქომაიშვილი.

სამოელ და ილარიონ ჩავლეიშვილები ჩვენს ოჯახში

სამოელ ჩავლეიშვილი ხელოვან ივანე სიხარულიძესაც (1784-1884) მოესწრო და 1877 წელს პირადად ესტუმრა ოჯახში (სოფ. გოგოლესუბანი, ზემო გურია).

ეს სტუმრობა გიხსენა სამოელმა ჩვენსავე ოჯახში 1931 წლის ოქტომბერში სტუმრობისას.

მაშინ, ხუთი წლისა და ხუთი თვის გახლდით, მაგრამ გუშინდელივით დამამახსოვრდა ეს სტუმრობა.

1877 წელს სამოელი 20 წლის იყო მხოლოდ, მაგრამ უკვე ჩინებული მომღერალი.

მას ბავშვობიდან გაეგონა ივანე სიხარულიძის (ფარეშთუხუცესის) სახელი და კარგახანს ჰქონდა ნატვრა მასთან სიმღერისა, რაც 1877 წელს აისრულა.

იმ დროს ივ. სიხარულიძე 93 წლისა გახლდათ, მაგრამ არაფერს უჩიოდა —თვალსაც უჭრიდა და სმენაც კარგი ჰქონდა.

სამოელმა 1931 წლის სტუმრობისას გაიხსენა ბაბუაჩემის ბაბუას „წკრიალა კრიმანჭული“ და ბაბუაჩემს (ასიკო სიხარულიძეს — 1882-1932) ჰკითხა:

—ბატონო ასიკო, დიდი ხელოვანის შთამომავალ თქვენს შვილიშვილს უჩანს სახელოვნებო უნარი თუ არაო.

—კი უჩანს, ბატონო სამოელ, პატარაა, მაგრამ უკვე კარგად კრიმანჭულობს.

— მართლა? — ბრძანა სამოელმა და მასთან მიმიხმო, მუხლზე დამისვა და მითხრა: — მორცხვი ბიჭი თუ არ ხარ, ერთი მასმინე შენი კრიმანჭულიო და მეც არ მითქვამს უარი.

—კაცო, ეს ბიჭი ივარგებს ხომ იცით. ესაა კარგი სწორეთ, თორემ შვილი და შვილიშვილი ვის არ ჰყავსო.

იმ ჩახჩახა მზიან ოქტომბრის დღეს, როდესაც ეს საპატიო პიროვნებები გვესტუმრნენ, ეს შემთხვევით მოხდა და არა წინასწარგანზრახვით.

სამოელ ჩავლეიშვილი მისი ბიძაშვილის და მომღერლის ილარიონის თანხლებით, ხშირად დადიოდა ხოლმე გოგოლესუბანში, რომელიც ნიგოეთის ქედის სამხრეთ კალთებზეა შეფენილი და სიმშვენიერით სამოთხეს მიგავს, მით უმეტეს შემოდგომაზე.

მაღალი სადილობა იდგა, როდესაც ჩვენს ჭიშკარს ორი ცხენოსანი მოადგა. მათ ცხენები ჩვენი „პატარა ბეღლის“ ღობის მესერს მოაბეს და ჩვენს ეზოში ჩამოვიდნენ. მე გავიქეცი, ბაბუა ასიკოს სტუმრების მოსვლა შევატყობინე. იგი სიმინდს ამზადებდა ახალი ხვავის მისაღებად და სტუმრები არ დაუნახავს.

ბაბუამ მაშინვე მიატოვა მუშაობა, სტუმრებს გაეგება. ისინი იმ დროს ჭასთან იდგა და ცივი წყლით ტკბებოდნენ.

ბაბუა კარგი მომღერალი გახლდათ (ბანი) და ძალიან გაიხარა ბატონი სამოელისა და ილარიონის მობრძანებით.

— ჩვენ წყლისთვის გეხელით და არა სალხინოთ —ბრძანა სამოელმა და წასვლა მოინდომა, მაგრამ ბაბუა ასე იოლად გაუშვებდა ასეთ სტუმრებს?!

ბაბუამ სასწრაფოთ გამოიტანა შავი მრგვალი მაგიდა, რცხილის ხეთა ჩრდილში დადგა ოდის წინ და სელის მშვენიერ სკამებზე დასვა სტუმრები. არ გასულა 5 წუთიც და მრგვალი მაგიდა აივსო ხაჭაპურებით და სანთლის არაყით.

ეს ხაჭაპურები ზემო სურებიდან ჩამოტანილი ძღვენი გახლდათ. წინადღით ჩვენსას ბრძანდებოდა ზემო სურების წმინდა გიორგის ეკლესიის ყოფილი რეგენტი სილიბისტრო ლომთათიძე (გარდ. 1934 წ.), რომლის ასულიც (ფატი ლომთათიძეც) ასიკო სიხარულიძის მეუღლე გახლდათ. სილიბისტრო ბაბუას ჩამოტანილი იყო სანთლის არაყიც.

გურიაში ეს ძალიან მოწონებული სასმელი ათ ლიტრამდე გვქონდა იმ დროს და სტუმრებმა ღვინო აღარ ისურვეს.

მალე ვახტანგი და სიმონ სიხარულიძეც გამოჩნდნენ. ვახტანგი სიმონის დახმარებით მოეწვია ბაბუას. სიმონიც ჩინებული მომღერალი ბრძანდებოდა, უმთავრესად არტემ ერქომაიშვილის კლასისა. ასე რომ, გურიის საუკეთესო მომღერალთა ჯგუფი შედგა.

სამოელის წყების მსგავსი, როგორც მომღერლები ირწმუნებოდნენ, გურიას არ უნახავს. ჩინებული მწყებელი ბრძანდებოდა ვახტანგ სიხარულიძეც (1866-1941), რომელსაც ჯერ ივანე ფარეშთულუცესი წვრთნიდა, ხოლო შემდეგ კიდევ უფრო აამაღლა სამოელთან ხშირმა ურთიერთობებმა.

რაც იმ დღეს მოვისმინე, არასოდეს არაფერი არ მომისმენია.

პატარა რომ არ ვყოფილიყავი, უეჭველად უფრო მეტს შევიცნობდი ხალხური სიმღერების ამ მერვე საოცრებიდან.

მზე ჩადიოდა, როდესაც სტუმრები გამოგვემშვიდობა და წაბრძანდნენ.

მათ მეზობლებიც მიჰყვნენ და ჩვენი კარმიდამო უცებ უდაბნოს დაემსგავსა. ძალიან დავღონდი, მაგრამ მდგომარეობის შეცვლის ძალა არც მე გამაჩნდა და არც სხვას.

იური სიხარულიძე.

ლუსტრაცია და საქართველოს აწმყო

ბიდან გამომდინარე, ტოვებს მისი ადამიანის უფლებების საზიანოდ ინტერპრეტაციისა და გამოყენების შესაძლებლობას.

საინტერესოა ისიც, რომ „ლუსტრაციის კანონს" ჩვენთან ანტიტერორისტული კონტექსტიც მიება. კანონი („თავისუფლების ქარტია") ერთ-ერთ მიზნად ისახავს სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის, ტერორიზმისა და ქვეყნის უშიშროების საფუძვლების ხელყოფის აღკვეთას, ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებას, კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების საფუძვლების გაღვივების წინააღმდეგ პრევენციული ღონისძიებების განხორციელებას, კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური სიმბოლიკის, საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების აღმოფხვრას, აგრეთვე ამ იდეოლოგიების მატარებელი და პროპაგანდის სხვა საშუალებების აკრძალვას. სავარაუდოდ, ეს განპირობებული იყო კანონმდებლის იმ პოზიციით, რომ მარტო ლუსტრაცია საკმარისი არ იქნებოდა, რამეთუ ლუსტრაცია არა სამართლებრივი და მორალური, არამედ მხოლოდ პოლიტიკური გასამართლების ფორმაა.

კანონი არსებობს, მაგრამ იმისათვის, რომ მან იმოქმედოს, აუცილებელია დემოკრატიულობის გარკვეული დონე.

საქართველოში ლუსტრაციის პროცესის შემფერხერხებლად შეიძლება მოიაზრებოდეს - როგორც საზოგადოების, ისე ხელისუფლების მოუმზადებლობა:

თუ საზოგადოებას სურს გარკვეული მეთოდებით უპასუხოს წარსულის უსამართლობებს აუცილებელია მან მოახდინოს ლუსტრაციის პროცესების ინიცირება. ეს შეუძლია ხელისუფლებაში მოსულ ახალ პოლიტიკურ ძალასაც, რომელიც მოწადინებულია, რაც შეიძლება მკვეთრი გამყოფი ხაზი გავლოს მისი და წინამორბედების დროს არსებულ დანაშაულობებს შორის. —ეს ფაქტორები სათანადო დოზით არ გაგვაჩნია.“

ლუსტრაციის ერთ-ერთ შემფერხებელ ფაქტორად ბატონი ირაკლი და ბევრი პოლიტიკოსი, 1990 წელს საქართველოდან სუკ-ის, საბჭოთა უშიშროების არქივის ქალაქ სმოლენსკში გატანას ასახელებს. თუმცა, როგორც ირკვევა, დოკუმენტების ნაწილი კვლავ საქართველოშია:

„ — გატანილი დოკუმენტების დაახლოებით მისი 30%, საქართველოში მალევე დააბრუნეს. ამტკიცებენ იმასაც, რომ ამჟამად უშიშროების არქივში არ ინახება არც ერთი საიდუმლო თანამშრომლის პირადი საქმე, მათ შორის, ყოფილი საბჭოთა სუკ-ის საიდუმლო თანამშრომელთა პირადი საქმეები რუსეთის არქივებშია განთავსებული და საქართველოს უარი ეთქვა მათ გადმოცემაზე.

თბილისის სამოქალაქო ომის დროს, 1991 წელს, დოკუმენტების დიდ ნაწილი ხანძარმა გაანადგურა, გადარჩა მხოლოდ 20%. გადარჩენილ დოკუმენტებს შორისაა სისხლის სამართლის საქმეების ფონდი 1921-დან 1990 წლამდე; ასევე შემორჩენილია სკ-ს არქივი, რომელიც დაახლოებით 2.5 მილიონ ერთეულს შეიცავს.“

საუბარია არსებული არქივის მასალების სანდოობაზეც, რასაც პროცესის მონაწილე ადამიანებისთვის შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. ბუნდოვანია ამ მასალებზე წვდომის საკითხიც.

ამ პრობლემებზე მკაფიო პასუხები აქვს იოანიმ გაუკს, პასტორს, პოლიტიკოსს, გერმანიის „შტაზის (დგრ უშიშროების სამს.)“ არქივების გაშუქებისათვის უფლებამოსილი ფედერალური სამმართველოს პირველ ხელმძღვანელს. გაუკი მიიჩნევს, რომ ცალკე უნდა არსებობდეს დოკუმენტების საჯაროობის კანონი. ლუსტრაცია აუცილებელია საკუთარი ისტორიის კვლევისათვის, მედიისა და ისტორიკოსებისათვის. იგი ლუსტრაციას განიხილავს როგორც დანაშაულის სამართლებრივ-ისტორიულ-პოლიტიკური შეფასების ნაწილს და აღნიშნავს რომ, ადამიანები, რომლებიც არიან მომხრე წარსულის გახსენებისა და გაგების, ყოველთვის უმცირესობაშია. მისივე შეფასებით, ლუსტრაციის შედეგად ქვეყანაში წარსულის გაცნობიერების ფონზე მოხდა შერიგება და შეწყნარება, შესაძლებელი გახდა საკუთარი ისტორიის კვლევა („ჩარევა სასურველია“- საჯარო დებატები ჰაინრიხ ბიოლის ფონდში. 2008)

საქართველოში ეჭვები ლუსტრაციის სამართლიანობაზე მხოლოდ დახვეწილ კანონს შეუძლია გაბათილოს:

ირაკლი პაპავა „ — კანონის ბუნდოვანი ჩანაწერები მუთითებს ხარვეზზე და საფრთხეებზე, რაც ამ ხარვეზებმა შეიძლება შექმნას მომავალში. თუმცა ერთი რამ ცხადია: ქვეყანამ უნდა შეძლოს და ლოგიკურ დასასრულამდე მიიყვანოს ლუსტრაციის მტკივნეული, მაგრამ აუცილებელი პროცესის განხორციელება.

„ლუსტრაციის კანონის" ამოქმედება ქვეყანას და საზოგადოებას ძალიან ბევრი გამოწვევის წინაშე აყენებს. ამასთან, რაც უფრო დემოკრატიულია ქვეყანა, წარმოქმნილ საფრთხეებს შედარებით იოლად უმკლავდება. ფაქტია, რომ „ლუსტრაციის კანონს" ძლიერი პოლიტიკური დატვირთვა აქვს. უდავოა, რომ დემოკრატიული პირობებში პოლიტიკური კონკურენციისას წარსულს აქვს მნიშვნელობა. “

ნახევარი საუკუნეა დემოკრატიას ვსწავლობთ, ვცდებით... იქნებ ლუსტრაცია - მსხვერპლშეწირვის მეშვეობით განწმენდა გვეცადა...

ლია კილაძე

აღდგენილი „გიგანტის“ პირველი საფეხბურთო ნაბიჯები



ქართული ფეხბურთის ძველ გულშემატკივრებს, ალბათ, ძალიან კარგად ახსოვთ ლაითურის „გიგანტის“ შთამბეჭდავი წარმატებები როგორც საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატებში, ისე ყოფილი საბჭოთა კავშირის პირველობებში, კერძოდ, სოფლის გუნდებს შორის „ოქროს თავთავის“ თასზე.

ლაითურელი მოსახლეობისათვის დაუვიწყარია გასული საუკუნის 80-იანი წლები, როდესაც „ტყავის ბურთის“ საკავშირო გათამაშებაზე დაბას სტუმრობდნენ საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გავრილ კაჩალინი და ქართული ფეხბურთის ლეგენდა, გასული საუკუნის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი, ფეხბურთის „კარუზოდ“ მონათლული, აწ განსვენებული ბორის პაიჭაძე.

მაშინ გავრილ კაჩალინს, რომელიც იმ დროს რუსეთის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის მოსკოვის „სპარტაკის“ მთავარი მწვრთნელი გახლდათ, ლაითური ისე მოეწონა, რომ გადაწყვიტა აქ „სპარტაკის“ საწვრთნელი ბაზა გაეკეთებინა. სამწუხაროდ, მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლები ამ საკითხზე ვერ შეთანხმდნენ და ეს საქმე ვიღაცის ამბიციებს შეეწირა.

გადიოდა წლები და ლაითურელ ფეხბურთელთა წარმატებები ნელ-ნელა დავიწყებას ეძლეოდა, მაგრამ აქაურ გულშემატკივრებს დიდი იმედი ჩაუსახა. ამა წლის მაისიდან სოფლის ცენტრალურ მოედანზე ნორჩი ფეხბურთელების გამოჩენამ. ლაითურელმა ბავშვებმა დიდი მონდომებით დაიწყეს ვარჯიში და სასურველი შედეგებიც ძალიან მალე მოვიდა. ისინი წარმატებით გამოვიდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პროექტში „ბურთი და მოედანი“, ხოლო შემდეგ, დაბის მკვიდრ, აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპულ ჯემალ დუმბაძის ხსოვნის ოთხთა ტურნირში, ფინალურ მატჩში ქუთაისელი თანატოლები დაამარცხეს და პირველი ადგილი დაიკავეს. ლაითურელებმა ასევე საკმაოდ წარმატებულად არაერთი ამხანაგური მატჩი გამართეს რუსთაველ, ბათუმელ, ქობულეთელ, ფოთელ, ჩოხატაურელ, ლანჩხუთელ თანატოლებთან.

ლაითურელი ბავშვების მიღწევები მხედველობიდან არ გამორჩენია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ბატონ მერაბ ჭანუყვაძეს, რომელმაც ტურნირში გამარჯვებისთვის გუნდს დაუფინანსა ერთდღიანი ექსკურსია რაჭაში, ამავე დროს, გუნდის თითოეულ წევრს შეუძინა საფხბურთო ფორმის სრული კომპლექტი.

გუნდის წევრები, მათი ოჯახის წევრები დიდ მადლობას უხდიან ბატონ მერაბ ჭანუყვაძეს, მუნიციპალიტეტის თანამრომლებს ქალბატონ ნატალია ხომერიკს, თამარ არაოშიძესა და სხვებს.

ასევე დიდ მადლიერებას გამოხატავენ სფფ-ის პრეზიდენტ, ბატონ ლევან კობიაშვილის მიმართ, რომელმაც 5 სექტემბერს გუნდი დაპატიჟა თბილისში, „დინამო არენაზე“ საქართველოსა და ავსტრიის ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩის სანახავად და ლაითურელ ფეხბურთელებს საჩუქრად გადასცა ფეხბურთის ბურთები.

ეროვნული ნაკრების ამ მატჩზე დასწრებამდე ჩვენი ბიჭები რუსთავში, ცენტრალურ, კეთილმოწყობილ მოედანზე აქაურ თანატოლებს გაეჯიბრნენ და დაძაბულ მატჩში 2:4 დამარცხდნენ. ლაითურელთაგან გოლები გაიტანეს ლევან ტუღუშმა და ჯიმშერ თუთისანმა.

ლაითურელი ფეხბურთელებისათვის დაუვიწყარი დარჩება 10 სექტემბერი, როდესაც მათთან, ლაითურში მივიდა საქართველოს პარლამენტის მა-

ჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“, ბატონი არჩილ თალაკვაძე. ბიჭებთან სამახსოვრო ფოტოები გადაიღო და არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში, გუნდს დიდ დახმარებას დაპირდა.

საჭიროა და აუცილებელია ხალხმა გაიგოს ერთი ლაითურელი ახალგაზრდა კაცის მალხაზ ქამადაძის შესახებ, რომელიც ამჟამად ბათუმში ცხოვრობს. მალხაზი განსაკუთრებული სიყვარულით არის განმსჭვალული ლაითურელებისადმი. იგი გუნდს ფინანსურად დაეხმარა და კიდევ ბევრ დახმარებას დაპირდა. აღსანიშნავია, რომ მან ყველა საქმე გადადო და, ოჯახის წევრებთან ერთად, ძალიან ცუდ ამინდში ლაითურელ ბავშვებს ფოთში გაჰყვა და მთელი მატჩის განმავლობაში ქომაგობდა მშობლიური დაბის გუნდს. მალხაზს ბათუმში გახსნილი აქვს ერთი პატარა სუვენირების მაღაზია, სახელწოდებით „ლაითურა“. იქ შესულ უცხოელ

ტურისტებს აცნობს საქართველოს კულტურას, ისტორიასა და ტრადიციებს. უფალმა ამრავლოს ასეთი, თავის ქვეყანაზე, კუთხესა და სოფელზე შეყვარებული ახალგაზრდები.

აქვე მინდა მადლობა გადავუხადოთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ლაითურის მაჟორიტარ დეპუტატს რესან გაბაიძეს, დაბაში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენელს ემზარ ბერიძეს, მის თანამშრომლებს — დიანა ბიბილეიშვილსა და გოგიტა დუმბაძეს, დაბის მკვიდრებს — გია ჩაგანავას, კობა ხაბალაშვილს, ემზარ თუთისანს, ლაითურის საჯარო სკოლის დირექტორს ლეილა გაბეჩავას, ფიზიკური კულტურის პედაგოგებს ბაგრატ თავართქილაძეს, ხვიჩა მახარაძეს, მთლიანად სკოლის პედაგოგებსა და, რა თქმა უნდა, მშობლებს, რომლებიც მაქსიმალურად უდგანან გვერდში თავიანთ შვილებს.

ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემაა, რომ არ გვაქვს გასახდელი და წვიმიან ამინდში ფაქტიურად ვერ ვვარჯიშობთ. გვჯერა, რომ ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ, გამოჩნდება ისეთი ქველმოქმედი და თავის რაიონზე შეყვარებული ადამიანი, რომელიც გულთან მიიტანს ჩვენს გასაჭირს და მოგვიგვარებს ამ პრობლემას. მთელი გუნდის სახელით წინასწარ ვუხდით მას დიდ მადლობას.

და ბოლოს, მინდა გაცნობოთ, რომ ლაითურის „გიგანტის“ ნორჩი ფეხბურთელები, კერძოდ, 2002-2003 წლებში დაბადებულები, მონაწილეობენ აჭარა-გურიის რეგიონულ ჩემპიონატში, რომელშიც ასევე გამოდიან ბათუმის „ბაკური“, ბათუმის „ადელი“, ლანჩხუთისა და სუფსის საფეხბურთო სკოლები, ჩოხატაურისა და ქედის სასპორტო სკოლები და ოზურგეთის „მერცხალი“.

სულ მალე კი, 2005-2007 წლებში დაბადებული ლაითურელი ფეხბურთელები გურიის ჩემპიონატში ჩაებმებიან.

აქვე მინდა გაგაცნოთ ის ბავშვები, რომლებიც გუნდში ვარჯიშობენ: ბექა დეკანაძე, თამაზ ბერიძე, მარად და თორნიკე ხოროშაძეები, ჯიმშერ თუთისანი, აჩიკო იაკობაძე, ლევან ტუღუში, რაინდი შაინიძე, გუგა ჩაგანავა, ანზორ და გოგიტა ბაკურიძეები, ოთარ ფუტკარაძე, მუხრან და მიშა ებრალიძეები, გიგა და გუჯა ნათიძეები, თორნიკე მახარაძე, ირაკლი ბათაძე, ლუკა თავართქილაძე, ენრიკე სოლომონიძე, საბა ქამაშაძე, მალხაზ შარაშიძე, გია დუმბაძე, მალხაზ თოლორდავა, გიორგი და რაინი ჭაღალიძეები, ხვიჩა ნაკაიძე, ბესიკ შამანაძე, როსტომ რიჟვაძე, გია სურმანიძე, რეზო ირემაძე.

გია ტუღუში.

მაკვანეთელი ქალბატონის გამარჯვება

ალიონი. გურიის ნარდის ფედერაციის ოფისში ორ დღეს მიმდინარეობდა ოზურგეთის თემების მუნიციპალიტეტისა და ქ. ოზურგეთის მონარდეთა ღია ჩემპიონატი ქართულ მოკლე ნარდში, რომელშიც 59 მამაკაცი და 5 ქალი მონაწილეობდა. ქალბატონებმა ტოლი არ დაუდეს მამაკაცებს, რაც ტურნირის საბოლოო შედეგშიც აისახა.

ტურნირის გამარჯვებული მაკვანეთელი დიასახლისი **ია ბერსენაძე** გახდა, რომელმაც ფინალში გამოცდილი მონარდე, ოზურგეთელი **ნუგზარ ხელაძე** (5:4) დაამარცხა. მესამე ადგილი ნუგზარ ხელაძის ვაჟმა **მიხეილმა** დაიკავა.

უნდა აღინიშნოს, რომ „ტურნირის საუკეთესო ქალის“ პრიზი, მაკვანეთის სკოლის პედაგოგს **ვერა კუკულაძეს** გადაეცა.

გურიის ნარდის ფედერაციის პრეზიდენტმა **თამაზ სალუქვაძემ** და ტურნირის დირექტორმა **ოლეგ გობრონიძემ** გამარჯვებულებს და პრიზიორებს სპეციალური დიპლომები, მედლები და ფულადი ჯილდო (შესაბამისად 250, 175, 125 ლარი) გადასცეს.

ტურნირის სპონსორი თემების მუნიციპალიტეტის გამგეობა გახლდათ.

გასწორება

„ალიონის“ წინა ნომერში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ გამოცხადებული **აუქციონის ჩატარების თარიღია 1 ნოემბერი** და არა 20 სექტემბერი, როგორც ეს გაზეთშია დაბეჭდილი.

განცხადებები

იყიდება ქ. ოზურგეთში ჭავჭავაძის ქ. №8-ში ოთხოთახიანი ბინა. ტელ: 555 91 08 65

* * *

იყიდება მეწველი ფური 2 თვის ხბოთი. იწველის 7 ლიტრს. დაგვიკავშირდით, ტელ. 577 20 95 91

სკანვორდი





№ 40-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე — ონორე დე ბალზაკი; კოვშიანი ტრაქტორი — ექსკავატორი; ა. ყაზბეგის ნაწარმოები — ელგუჯა; ჭაობის მცენარე — ლერწამი, შრომის იარაღი — ძალაყინი; ლიტერატურული პრემია — საბა; ქართველი კომპოზიტორი — კერესელიძე; საესტრადო ჟანრი — რეპი; ხმელი ბალახი — ჩალა; ფეროს ქალაქი — ზესტაფონი; გოგიას ძმაკაცი — ხარება; თხელი წყალი მდინარეში — ფონი; ცნობილი ამერიკელი ჩოგბურთელი — აგასი; ტბა რაჭაში — შაორი; ჩასიძებული კაცი — ზედსიძე; ძიუდოს ხალიჩა — ტატამი; ნიდაგის ბუნებრივად გამნოყიერებელი — ნეშომპალა; თმის სალებავი — ინა; მდინარე ციმბირში — ირტიში; სამხედრო წოდება — მაიორი; ცხოველის თათი - ტორი; ქვეყანა მცირე აზიაში — სირია; მინერალური სასუქის ფორმა — ამოფოსკა; ძვირფასი ლითონი — ოქრო; დიდი მოისარი — რობინ ჰუდი; ქართული ცეკვა — სამაია; დიდი ჩაქუჩი - ურო; თავსაბურავი — ქუდი; თბილისის ზღვის მკვებავი — იორი; ავტორბოლა — რალი; ლიტერატურული ჟანრი — ესე; კამეჩის დაავადება — ჭრიჭინა; გამხმარი ყურძენი — ქიშმიში.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ნინო ბურჯანაძე - დემოკრატიული მოძრაობა

უბლოკო სტატუსი

საქართველოს გამთლიანებისა და ეკონომიკური გაძლიერებისათვის

- საქართველო უცხო ქვეყნის ჯარების გარეშე
- ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივა
- ქვეყნის უსაფრთხო მომავალი
- ქვეყნის მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი
- დაცული ეროვნული ინტერესები
- სამართლიანობის აღდგენა
- პასუხისმგებლობიანი ხელისუფლება და უფლებადაცული მოქალქეები
- გახსნილი საერთაშორისო ბაზრები
- განვითარებული მრეწველობა და სოფლის მეურნეობა
- დასაქმებული მოქალაქეები
- ძლიერი ეკონომიკა და ძლიერი ოჯახი

ავთანდილ (ზურა) ჩხაიძე

ოზურგეთის ხმა საქართველოს პარლამენტში

„ჩაქირა“ უნდა გადავარჩინოთ

ნუგზარ ასათიანი

ქართულ მყეფარას, გურიაში „ჩაქირას“ უწოდებენ. როგორც კინოლოგები მას მეკვერნე მყეფარათა საერთო ჯიშს მიაკუთვნებენ, თუმცა მათ შორის დიდი განსხვავებაა. ქართული მყეფარას სამშობლოდ დასავლეთ საქართველოს აღიარებენ, განსაკუთრებით გურია-აჭარას.

სამწუხაროდ ამ ჯიშის პოპულაციის რიცხვი ძალიან მცირეა.

ილია თოიძე, გურიაში, სოფელ მაკვანეთში მცხოვრები პიროვნება, უკვე მეხუთე თაობაა ინარჩუნებს ამ უნიკალურ, უძველეს და საამაყო ისტორიულ ქართული ძაღლის ჯიშს, რომლის წარმომავლობა 10 საუკუნეზე მეტს ითვლის. შარშან , მაისში, ქ. ქუთაისში ძაღლების საერთაშორისო გამოფენაზე გაიმარჯვა და „ოქროს თასით“ დაჯილდოვდა. წელსაც, ქ. ქუთაისში გამართულ ექსტერიერ შოუზე „ოქროს თასი“ აიღო. თუ რა არის ამ წარმატებების მიზეზი და რა გულისტკივილი აქვს, იგი გაზეთ „ალიონის“ რედაქციაში გვესაუბრა:

—ძაღლის ეს ჯიში გადაშენეპის პირას დგას. ჯიში არ არის აღიარებული არც ერთ კინოლოგიური ფედერაციის მიერ, არ ხდება არც ერთ ძაღლსაშენში მისი მოშენება. მხოლოდ ენთუზიაზმით შევძელი ამ ჯიშის აქამდე შენარჩუნება. ან რა უფლება მაქვს. მე ჩემს ოჯახში მეხუთე თაობა ვარ, ამ ჯიშს რომ პატრონობს. ამჟამად 17 ეგზემპლარი მყავს და ოჯახის ბიუჯეტის უმეტესი ნაწილი მათ მოვლას ხმარდება.

— რითი განსხვავდება ეს ჯიშო სხვა ძაღლებისაგან?

— დამახასიათებელი ჩვევებიდან აღვნიშნავდი, რომ .დაგეშილი ძაღლი ზამთარში, როცა კვერნაზე ნადირობის სეზონია, განუწყვეტლივ ყეფს და მოითხოვს სანადიროდ წაყვანას. იგი ხშირად მონადირეს დამწყვდეული ან ჯაჭვით დაბმული ყავს. ამის გამო იგი იმდენად ავია, რომ პატრონის გარდა არავის იკარებს. თუ თავისუფლად გაუშვით, სხვა ძაღლებს ებრძვის. კვერნაზე ნადირობისას ხეზე ასვლაც შეუძლია. მეკვერნე ძაღლები თითქმის ყველა ერთი ტიპისანი არიან, განსხვავება მხოლოდ ფერშია: თავი - ტურის მსგავსი აქვს;

თვალები — ცბიერი გამომეტყველებით, ავი. ხშირად თვალის ფერს სიწითლე გადაკრავს, რაც სიავის ნიშანია; ყურები - ზემოდან ჩამჯდარი ბუნებრივად ლამაზად აცქვეტილი; კისერი — მოკლე და მკვრივი; ფეხები — წინა პირდაპირი, უკანა კი სახსარში მოხრილი;.

ბალანი — მოკლე უხეში (ჯარისებური); კუდმოკლეა და მისი ბოლო თეთრია;ფერი - წაბლისფერი, მკერდი და ფეხები თეთრი წინწკლებით; დამახასიათებელია კისერზე თეთრი საყელოს მსგავსი ზოლი.. ძაღლის სიმაღლე არ აღემატება 50 სანტიმეტრს.

— თუ გეხმარებიან ძაღლების შენახვაში. გქონდათ თუ არა შემოთავაზებები?

—ბევრი შეთავაზება მქონდა თურქებისგან, რათა მიმეყიდა თავისი ძაღლები მათთვის დიდ თანხად, მაგრამ არ დავთანხმდი თურქ სელექციონერებს, რადგან მათი მიზანი იყო ჯიშის ოდნავი სახეცვლილებით მისი თურქულ წარმომავლობის ძაღლად გასაღება. რაც შეეხება ქართველ კინოლოგებს, ისინი ამ ჯიშის აღიარებისათვის ითხოვენ მათი რაოდენობის 40-მდე გაზრდას. ამას კი მნიშვნელოვანი თანხები ესაჭიროება. დამხმარე ჯერ-ჯერობით არავინ არ მყავს. არადა, შესაძლებელია, მომავალში სოფელ მაკვანეთში სამონადირეო ტურიზმით დაინტერესებული პირები მოგვეწვია.

როდის გადახურავენ რომაულ აბანოებს?

ალიონი. ქ. ოზურგეთის ცენტრში, კომუნისტურ ეპოქასა და წინა ხელისუფლების ვანდალებს გადარჩენილი ე.წ. რომაული აბანოების ნაშთები, რომლის ერთი ნაწილი 3 წლის წინ გაითხარა და საექსპოზიციოდ მოამზადა გურიის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (პროფესორები ვაჟა სადრაძე, მერაბ ძნელაძე), კვლავ საფრის წინაშეა.

მიუხედავად იმისა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტომ 2 წლის წინ მოამზადა ღია გადახურვის პროექტი, იგი ჯერაც არ განხორციელებულა.

როგორც ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის მმართველმა დავით ხურციძემ გვითხრა, დასახელებული პროექტი ღია გადახურვას ითვალისწინებს. მისი სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 90 ათასი ლარია. პროექტი ძეგლის კონსერვაციას და გაწმენდასაც ითვალისწინებს. სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით საქმე არ დაძრულა.

ამ დროს კი ძეგლი ზიანდება და ერთ ადგილას უკვე ჩამოშლის წინაშეა. გასულ შაბათს გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლებმა რომაული აბანოების ნაშთები სარეველებისაგან და მოქალაქეების მიერ გადაყრილი საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან გაწმინდეს.

საერთაშორისო ტურნირი ბათუმში

30 სექტემბერს, ქ. ბათუმში.,ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, სადაც მონაწილეობა მიიღო ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის ნაკრებმა გუნდმა. წარმატებით იასპარეზა გიორგი გუჯაბიძემ 60კგ წონით კატეგორიაში, რომელმაც ფინალურ ბრძოლაში დაამარცხა აჭარის წარმომადგენელი და დაიკავა პირველი ადგილი.. მწვრთნელები ირაკლი და ვლადიმერ ზურაბიანები.

ამავე ტურნირში მესამე ადგილზე გავიდა შოთა ღლონტი 54კგ წონით კატეგორიაში. მწვრთნელი გურამ მაჭარაშვილი.

მწვრთნელები დიდ მადლობას უხდიან ქ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გაერთიანებული სპორტის განვითარების ცენტრის გენერალურ დირექტორს გოჩა კვანტალიანს უდიდესი მხარდაჭერისათვის.

ავტომობილები განვადებით

„იმპორტი-2“ გთავაზობთ ავტომობილების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების ტრანსპორტირებას აშშ, ევროპის და იაპონური (მარცხენა საჭე) სადილერო კომპანიებიდან და აუქციონებიდან. ასევე ავტო განვადებას: პირველადი შესატანი ღირებულების 40%, დარჩენილი თანხა გადანაწილდება მაქსიმუმ 36 თვეზე. ასევე მოქმედებს შიდა 0% განვადება. უპრეცენდენტოდ დაბალი ტარიფები მომსახურებაზე და ტრანსპორტირებაზე. უფასო კონსულტაცია.

ტელ. 595 11 10 30, ზურა, მისამართი: 26 მაისის ქ.№ 11ა.

(რ)

7 დღის ამინდის პროგნოზი

6 ოქტომბერი ხუთშაბათი	7 ოქტომბერი- პარასკევი	8 ოქტომბერი შაბათი	9 ოქტომბერი კვირა	10 ოქტომბერი ორშაბათი	11 ოქტომბერი სამშაბათი	12 ოქტომბერი ოთხშაბათი
მცირე წვიმა +13+23	მზე, ღრუბელი +11+23	მზე, ღრუბელი +13+25	მცირე წვიმა +10+19	მცირე წვიმა, +6+17	მზე, ღრუბელი +8+13	მცირე წვიმა +6+14